**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

05/12/2024

MES 2 24 0001566706

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის და მე-4 პუნქტების, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1 ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2 200-ით.
2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს მიენიჭოს უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი).
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 21 ნოემბერს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 5 დეკემბრის №1565581 სხდომის ოქმის №02 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ

მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

ადმინისტრაციული
მზამავსმეღრა
ელექტრონული